PRESS RELEASE

PR20/120

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) განაცხადი საქართველოს შესახებ

გავრცელდეს დაუყოვნებლივ

ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი - 30 მარტი, 2020 დღეს ქალბატონმა ვერა მარტინმა, სსფ-ს (IMF) საქართველოს მისიის უფროსმა, განაცხადა შემდეგი:

„ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემურმა გავრცელებამ გაართულა ქართველი ხალხის ყოფა და გააუარესა საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა. საპასუხოდ საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს ღონისძიებებს, რაც შეარბილებს ამ შოკის გავლენას მოსახლეობაზე და ეკონომიკაზე. სსფ აქტიურად თანამშრომლობს ქვეყნის ხელისუფლებასთან, მიმდინარე პროგრამის „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ ფარგლებში დამატებითი ფინანსური რესურსის მისაწოდებლად, რაც საჭიროა ვირუსის გავრცელების შესაკავებლად, ეკონომიკის და ქართველი ხალხის მხარდასაჭერად. შოკის გავლენის შესუსტებასთან ერთად, სსფ-ს დაფინანსება სხვა დონორების დაფინანსების წამახალისებელიც გახდება“.

700 19th Street NW
Washington, DC 20431
USA